

ოტია იოსელიანის ხელისგულისტოლა ზღაპრების სტრუქტურა და აფორისტული შეგონებების ლინგვოკულტუროლოგიური წახნაგები

გელდიაშვილი ნუნუ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
<https://orcid.org/0000-0001-6846-7924>

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.19>

აბსტრაქტი. *ოტია იოსელიანის მრავალმხრივი შემოქმედებიდან სრულიად ცალკე საკვლევ არეალს ქმნის ზღაპარი, რომელთა სტრუქტურა თუ სემანტიკა არაერთ საინტერესო წახნაგს წარმოაჩენს.*

ნაშრომში განვიხილავთ ხელისგულისტოლა ზღაპრების მწერლისეულ ხელწერას სტრუქტურის, სამეტყველო ტიპისა და ლინგვოკულტუროლოგიური მახასიათებლების თვალსაზრისით.

თავდაპირველადვე ყურადღებას იპყრობს ზღაპართა სათაურები და პერსონაჟთა ნაირგვაროვნება, რაც, თავისთავად, უზრუნველყოფს შინაარსობრივ/თემატურ და სიუჟეტურ მრავალფეროვნებას (კუ; ყვავი და ბულბული; მართალი ღორი; ლომი, ირემი და ბაყაყი; ორი დათვი; კეთილი და სათნო ძერა; მგლის მგლობა; ნიანგის სამდურავი; თავკერძა ინდაური...);

შემდეგი ხაზგასასმელი პარამეტრი ზღაპრის ტექსტის დასაწყისისადმი მიდგომაა, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციულ ზღაპართა დასაწყისი მზა ფორმულებისაგან, რომლითაც, როგორც წესი, მთხრობელი მსმენელს ამცნობს, რომ იწყებს გამონაგონი ამბის მოყოლას, ამბისა, რომელიც თან მოხდა/იყო და თან არც მომხდარა/ყოფილა. „იყო და არა იყო რა...“, მწერალი ასეთი ოპოზიციური წყვილის ნაცვლად უმრავლეს შემთხვევაში ტექსტს პირდაპირ მოქმედების განვითარებით იწყებს, ზოგჯერ კი გვთავაზობს მხოლოდ „იყოს“, ან განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს „ერთი“. ჩვენი აზრით, ამით მწერალი მიანიშნებს მკითხველს/მსმენელს, რომ გამონაგონი ამბის მოყოლას კი არ იწყებს, არამედ იმისას, რაც ყოფილა, არის და, სავარაუდოდ, იქნება; ზღაპრის დასაწყისი ფრაზა, ფაქტობრივად, ყოველთვის მიემართება ერთ კონკრეტულ (სულიერ თუ უსულო) არსებით სახელს; ძალზე იშვიათად - აბსტრაქტულს; ყველაზე ხშირ ვარიანტად დასტურდება ადგილის, დროის ან მოქმედი პირის დასახელების ფორმა.

ზღაპრის ტექსტი მეტყველების ტიპის მიხედვით თხრობითია; დილოგებით დატვირთული; მათში წინაა წამოწყებული მოქმედებათა თანამიმდევრობა, სიუჟეტის განვითარება. მოვლენები მოსდევს ერთმანეთს და ხშირად ერთიმეორესაც განაპირობებს. ავტორი-მთხრობელი ტექსტში არ ჩანს, თუმცა, ცხადია, რომ ყველაფერი მისი თვალითაა დანახული; იცის, რა მოხდება და როგორ განვითარდება ამბავი.

ენობრივი თვალსაზრისით გამორჩეული როლი ზმნებს აკისრია (ისინი უმეტესად მესამე პირის წარსული დროის და სრული ასპექტის ფორმებია), რომლებიც ერთმანეთის მონაცვლე მოქმედებებს აღნიშნავენ და თხრობის გაშლას უზრუნველყოფენ; სხვა დროისა და პირის ფორმები კი მეტ გამომსახველობით ძალას ჰმატებენ ტექსტს და მოქმედების თვითმხილველად წარმოდგენის შესაძლებლობას აძლევენ მკითხველსა თუ მსმენელს.

ოტიას ხელისგულისტოლა ზღაპრები მოკლე, ლაკონური, თუმცა, ძალზე შთამბეჭდავი და მრავლისმთქმელია. შთამბეჭდავი იმ თვალსაზრისით, რომ მხატვრობით მდიდარია, მათი მეშვეობით მოვლენები და მოქმედებები მკაფიოდ და ძალზე ცხოვლადაა გამოხატული; ტექსტი, წინადადებების ტიპების სხვადასხვაგვარობისა და მათში სიტყვათა სწორი/კარგი განლაგებით, მოსასმენად/წასაკითხად მარტივი, ალქმადი, ზოგჯერ რიტმულიც კია, თუმცა, ყველაზე მთავარი ისაა, რომ ფუნქციურია.

განსაკუთრებულად საინტერესო ლინგვოკულტუროლოგიური წახნაგები იკვეთება ამ, მართალც, ხელისგულისტოლა ზღაპრებიდან; ისინი, ჩვენ ვიტყვით, უფრო იგავებია ფრინველთა და ცხოველთა პერსონაჟებით სავსე; მათი დასასრული სტრუქტურულად ჩვეულებრივი, ტრადიციული ზღაპრის დასასრულის მსგავსი ფრაზები კი არაა, არამედ აფორისტული, ბრძნული. მათგან მომდინარე შეგონებები უმნიშვნელოვანესია ლინგვოკულტუროლოგიურად. მწერალი სწორედაც რომ ფრინველთა და ცხოველთა მეშვეობით, ალეგორიულად (იმპლიციტურად, თუმცა, რეალურად ძალზე ექსპლიციტურად) მშვენივრად ახერხებს, გასცდეს ყოველგვარ შემოფარგლულ დროით სივრცეს, საზღვრებს და თავის ხალხს თაობიდან თაობებს მარადიულად გადასაცემად დაუტოვოს ქართული ეროვნული მენტალობისათვის ოდითგან დამახასიათებელი, გამოყენებადი და ჭკუის სასწავლებელი ცხოვრებისეული სიბრძნე (მისაღები, მოსაწონი, ანდა, პირიქით, დასაგმოზი, მიუღებელი და უარსაყოფი).

ჩვენი აზრით, ასეთი განსხვავებული სტრუქტურით აგებული, იგავური სიბრძნის შემცველი ზღაპრები შესანიშნავი შესაძლებლობაა მწერლისეული ინდივიდუალური ხელწერის შესაქმნელად და მიზნის მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: ლინგვოკულტუროლოგიური წახნაგები, ოტია იოსელიანი, ზღაპრები, სტრუქტურა, სემანტიკა

ოტია იოსელიანის მრავალმხრივი შემოქმედებიდან სრულიად ცალკე საკვლევ არეალს ქმნის ზღაპარი, რომელთა სტრუქტურა თუ სემანტიკა არაერთ საინტერესო წახნაგს წარმოაჩენს.

ნაშრომში განვიხილავთ ხელისგულისტოლა ზღაპრების მწერლისეულ ხელწერას სტრუქტურის, სამეტყველო ტიპისა და ლინგვოკულტუროლოგიური მახასიათებლების თვალსაზრისით.

თავდაპირველადვე ყურადღებას იპყრობს ზღაპართა სათაურები და პერსონაჟთა ნაირგვაროვნება, რაც, თავისთავად, უზრუნველყოფს შინაარსობრივ/თემატურ და სიუჟეტურ მრავალფეროვნებას (კუ; ყვავი და ბულბული; მართალი ღორი; ორი დათვი; ლომი, ირემი და ბაყაყი; კეთილი და სათნო ძერა; მგლის მგლობა; ნიანგის სამდურავი; თავკერძა ინდაური...).

კრებულში სულ 60 ზღაპარია და, ფაქტობრივად, თითქმის ყველგან ზღაპრის გმირია სახელდებული, იშვიათადაა გამოწკლისები: უღრან ტყეში; ხანძარი ტყეში; სიბრძნის საიდუმლო; მეგობრობის პირობა; უსამართლობის მსხვერპლი; მეფური ძღვენი; სამხეცეში; ნასუფრალის მეგობარი.

სტრუქტურული კლასიფიკაციის მიხედვით იქმნება შემდეგი სურათი:

ა/. ერთწევრა სათაურები - სახელდება პირდაპირ მთავარი გმირის, მოვლენის ან მოქმედების ადგილის:

- არსებითი სახელი: კუ; მელიები; ჯორი; ბეჭემოთი; სასწაული; სამხეცეში

ბ/. ორწევრა მოდელი

- არსებითი სახელი + არსებითი სახელი (შეერთება ძირითადად კავშირიანია): ყვავი და ბულბული; ირემი და ბაყაყი; მგელი და დათვი; ვეფხვი და თაგვი; ბუ და

ბულბული; ჩხიკვი და ჭოტი; შაშვი და ბულბული; მგელი და ხოხობი; ირმები და ტურა; მელა და ტურა; კუ და ლოკოკინა; გველი და არწივი; ძაღლები და ტურები; ლომი და ვირი; ბეჭემოთი და ჟირაფი; კოდალა და ჩხიკვი; ჯიხვი და მგელი; ტურა და თევზები; არწივი და ჯიხვი; ბუ და კოდალა...

მგლის მგლობა; ნიანგის სამდურავი; ბრძენის ბედნიერება; აქლემის საზრუნავი; სიბრძნის საიდუმლო; მეგობრობის პირობა; ვეშაპის თანმდევარა; უსამართლობის მსხვერპლი; არწივის განაჩენი; ნასუფრალის მეგობარი; მურიას თავსატეხი.

▪ ზედსართავი სახელი + არსებითი (მარტივი/წარმოქმნილი/თანდებულიანი): მართალი ღორი; მომღერალი დათვი; თავკერძა ინდაური; ბებერი მგელი; დასჯილი თხუნელა; მოგზაური კუ; ჭკვიანი თავვი; მგლური სამართალი; მეფური ძღვენი; პატივმოყვარე ყვავი; კეთილმოსურნე მელა; ბალახიჭამია მგელი; უდრან ტყეში.

▪ რიცხვითი სახელი + არსებითი: ორი დათვი

როგორც ნიმუშები გვიჩვენებს, წყობა პრეპოზიციულია; დასტურდება ატრიბუტული და სუბსტანციური მსაზღვრელები, რომლებითაც მთავარი პერსონაჟის/გმირის ხასიათი/თვისებაა ხაზგასმული ან/და ავტორისაგან მინიშნება სემანტიკაზე - დამახასიათებელ ან საპირისპირო თვისება/შესაძლებლობაზე (უმეტესად ირონიის გამოხატვის მიზნით).

გ/. სამწევრა მოდელი

▪ არსებითი+არსებითი+არსებითი: ლომი, ირემი და ბაყაყი; არწივი, ღაჟო და ჭინჭრაქა;

▪ ზედსართავი+ზედსართავი+ არსებითი: კეთილი და სათნო ძერა;

▪ არსებითი+ზედსართავი+ არსებითი: თხა და ავი ძაღლები

▪ ზედსართავი+არსებითი (დანართით): მოშტორიკი ლომი - მეფე

მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვაქვს კითხვითი ფორმა, უშემასმენლო, გამოყენებული მაპირისპირებელი სემანტიკით:

▪ ძაღლი და კატა თუ კატა და ძაღლი?

იშვიათად, მაგრამ მაინც, სათაურად წინადადებაა:

▪ ვის რა მოსწონს...

▪ ვინ რისი მაქნისია...

ზღაპრებში პერსონაჟებად სულ 40 ფრინველ-ცხოველია: 26 ცხოველი, 14 - ფრინველი.

ცხოველებიდან ყველზე მეტჯერ დასტურდება მგელი (7); ტურა (5); ძაღლი (5)

(1 შემთხვევაში ენაცვლება სინონიმი - მურია); 3-ჯერ: დათვი, კუ; ირემი, მელა; ლომი; 2-ჯერ: ბეჭემოთი, ჯიხვი; დანარჩენი მხოლოდ ერთხელ;

ფრინველებიდან: არწივი -4-ჯერ; ყვავი და ბულბული -3-ჯერ; ბუ, ჩხიკვი და კოდალა -2-ჯერ, დანარჩენი ერთხელ.

ასეთი მრავალფეროვნება უკვე მიუთითებს, რომ მწერალი ბავშვებს ჯადოსნურ სამყაროში ამოგზავნის - უთვალავ/ნაირგვარ ამბავს მოუთხრობს და მათ გონებას საოცარი განვითარების შესაძლებლობას აძლევს, როგორც ლექსიკური, ისე სემანტიკური და ეროვნულ-კულტურული (საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი) თვალსაზრისით.

შემდეგი ხაზგასასმელი პარამეტრი ზღაპრის ტექსტის დასაწყისისადმი მიდგომაა, რაც სრულიად განსხვავდება ტრადიციულ ზღაპართა დასაწყისი მზა ფორმულებისაგან, რომლითაც, როგორც წესი, მთხრობელი მსმენელს ამცნობს, რომ იწყებს გამონაგონი ამბის მოყოლას, ამბისა, რომელიც თან მოხდა/იყო და თან არც მომხდარა/არც ყოფილა; „იყო და არა იყო რა...“; მწერალი ასეთი ოპოზიციური

წყვილის ნაცვლად უმრავლეს შემთხვევაში ტექსტს პირდაპირ მოქმედების განვითარებით იწყებს, ზოგჯერ კი (იშვიათად) გვთავაზობს მხოლოდ „იყოს“, ან განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს „ერთი“. ჩვენი აზრით, ამით მწერალი მიაწვდის მკითხველს/მსმენელს, რომ გამონაგონი ამბის მოყოლას კი არ იწყებს, არამედ იმისას, რაც ყოფილა, არის და, სავარაუდოდ, იქნება; ეს დამაჯერებლობას სჭირდება, უდავოდ, მოზარდზე გავლენის მოხდენას, მის სულში შეღწევას და მორალის ჩანერგვას, დიდაქტიკის შექმნას... ზღაპრის დასაწყისი ფრაზა, ფაქტობრივად, ყოველთვის მიემართება ერთ კონკრეტულ (სულიერ თუ უსულო) არსებით სახელს; ძალზე იშვიათად - აბსტრაქტულს; ყველაზე ხშირ ვარიანტად დასტურდება ადგილის, დროის ან მოქმედი პირის დასახელების ფორმა.

„ბუჩქებში მომღერალ შაშვს ხის კენწეროდან ყვავმა ჩამოსძახა:....“ (გვ.3); უღრან ტყეში, პანტის ძირას, დათვი იწვა და თვლემდა...“ (გვ.5); „ერთ წრუწუნას სორო ვეფხვის ბუნაგთან ჰქონდა“...(გვ.6); „ღამით თაგვებზე მონადირე ბუ საამო სტვენა-გალობამ შეაშფოთა...“ (გვ.8); „ეს ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა“... (გვ.37); იყო ერთი ყვავი და ჰყავდა ყვა-ყვა-ყვანჩალა ბახალა“...(გვ.50); შემოდგომა დადგა. აგრილდა, აცივდა და გადამფრენმა ფრინველებმა პირი თბილი ქვეყნებისაკენ იბრუნეს...“ (გვ.61)

ზღაპრის ტექსტი მეტყველების ტიპის მიხედვით თხრობითია; დილოგებით დატვირთული; მათში წინაა ჩამოწეული მოქმედებათა თანამიმდევრობა, სიუჟეტის განვითარება. მოვლენები მოსდევს ერთმანეთს და ხშირად ერთიმეორესაც განაპირობებს. ავტორი-მთხრობელი ტექსტში არ ჩანს, თუმცა, ცხადია, რომ ყველაფერი მისი თვალითაა დანახული; იცის, რა მოხდება და როგორ განვითარდება ამბავი.

ენობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი ზმნებს აკისრია (ისინი უმეტესად მესამე პირის წარსული დროის და სრული ასპექტის ფორმებია), რომლებიც ერთმანეთის მონაცვლე მოქმედებებს აღნიშნავენ და თხრობის გაშლას უზრუნველყოფენ: („შუადამისას, მთვლემარე ნაგაზებს, ტყიდან ტურების სიმღერა შემოესმათ. გაცვივდნენ და გამოენთნენ. დამშეულმა, გაქუცულმა და გამწლულმა ტურებმა ნესტიან სოსროებში ძლივს შეასწრეს. მიადგნენ ქოფკები და აქუხდნენ:...(გვ.37); სხვა დროისა და პირის ფორმები კი მეტ გამომსახველობით ძალას ჰმატებენ ტექსტს და მოქმედების თვითმხილველად წარმოდგენის შესაძლებლობას აძლევენ მკითხველსა თუ მსმენელს („მართალია, კუ ვარ, ვეხებს ძლივს დავათრევ, დავდოლავ, მაგრამ შემი საქმე ვიცი...; გვ.12);

ოტიას ხელისგულისტოლა ზღაპრები მოკლე, ლაკონური, თუმცა, ძალზე შთამბეჭდავი და მრავლისმთქმელია. შთამბეჭდავი იმ თვალსაზრისით, რომ მხატვრულობით მდიდარია, მათი მეშვეობით მოვლენები და მოქმედებები მკაფიოდ და ძალზე ცხოვლადაა გამოხატული; ტექსტი, წინადადებების ტიპების სხვადასხვაგვარობისა და მათში სიტყვათა სწორი/კარგი განლაგებით, მოსასმენად თუ წასაკითხად მარტივი, აღქმადი, ექსპრესიული, ზოგჯერ კი რიტმულიც კია (მარტივი: „ვეება მუხის ტოტზე ძერა დაფრინდა...“ (გვ.4); შერწყმული: „ერთი კვიმატი და წუწკი თხა ახტა-დახტა, ისკუპა. ღობეს თავზე მოევლო და გაბარდული ვენახის ჭამას კუდის ქიკინით შეუდგა“... (48); რთული კონსტრუქციები: „ღრენით გამონთებულ ძაღლს კატამ ხეზე შეასწრო, ტოტების გასაყარში ჩაწვა და თავი თათებზე დადო..“ (გვ.57); თვალუწვდენელ უდაბნოს იმისთანა ქარ-სიციხე ადგას, ღრუბლებამდე აჭრილ არწივს იქაც სულს უხუთავს. არაფერი საკბილო არ ჩანს...“ (გვ. 70); „კოდალამ, ტყეს რომ უმკურნალა, დადლილმა ბებერი ცაცხვის ფულუროს საძრომზე დააკაკუნა“... (გვ. 151),

თუმცა, ყველაზე მთავარი ისაა, რომ ფუნქციურია („ადარ შეიძლება ასეთი უთანასწორობა, ძლიერისგან სუსტის ჩაგვრაა, დაბალზე და მოკლევადობაზე მაღლიდან ცქერა. არ შეიძლება მეელტაციობა, ძალმომრეობა და რბევა, ცხოველთა უფლებების დარღვევა და განუკითხაობააო!..გადაწყვეტეს უღრანი ტყის ბინადრებმა შექმნეს უფლებებისა და თანასწორობის დაცვის სათათბირო...(გვ.67). პირველივე წინადადება შთამბეჭდავია, ფუნქციური - მორალი ჩანს - უსამართლობა არ შეიძლება, მას უნდა ებრძოლო, თუმცა გაერთიანებული ძალით...

განსაკუთრებულად საინტერესო ლინგვოკულტუროლოგიური წახნაგები იკვეთება ამ, მართალც, ხელისგულისტოლა ზღაპრებიდან; ისინი, ჩვენ ვიტყვით, უფრო იგავებია ფრინველთა და ცხოველთა პერსონაჟებით დატვირთული; მათი დასასრული სტრუქტურულად ჩვეულებრივი, ტრადიციული ზღაპრის დასასრულის მსგავსი ფრაზები კი არაა, არამედ აფორისტული, ბრძნული. მათგან მომდინარე შეგონებები უმნიშვნელოვანესია ლინგვოკულტუროლოგიურად. მწერალი სწორედაც რომ ფრინველთა და ცხოველთა მეშვეობით, ალეგორიულად (იმპლიციტურად, თუმცა, რეალურად ძალზე ექსპლიციტურად) მშვენივრად ახერხებს, გასცდეს ყოველგვარ შემოფარგლულ დროით სივრცეს, საზღვრებს და თავის ხალხს თაობიდან თაობებს მარადიულად გადასაცემად დაუტოვოს ქართული ეროვნული მენტალობისათვის ოდითგან დამახასიათებელი, გამოყენებადი და ჭკუის სასწავლებელი ცხოვრებისეული სიბრძნე (მისაღები, მოსაწონი, ანდა, პირიქით, დასაგმობი, მიუღებელი და უარსაყოფი): „...ირბინონ, იძუნძულონ, იავკაცონ, რაკი მეტი ჭკუა არა აქვთ. მე ნელა-ნელა ვივლი და ბოლოს ვნახოთ, ვინ რასთან და ვისთან მივა. ბაბუისაგან თუ ბაბუის ბაბუისაგან მაქვს გაგონილი: თუ გეჩქარება, ნელა იარეო! კი, ამას ჩემი წინაპარი... ვინც კეთილსინდისიერად იცხოვრა, ის იტყოდა.“ (გვ.12)... „ბრძენი ბრძენია, მაგრამ ზოგჯერ ჭკუის სწავლა იმასაც სჭირდება“ (გვ.7); „...ყოველი გაღორებული ხომ ღორად დაბადებულზე ათასგზის უარესია!“ (გვ.91). ქართული ეროვნული მენტალობის/სიბრძნის ტრადიციული პარადიგმა ასეთია:

1. მთავარია ჭკუა
2. სხვისი არაფერი მიითვისო
3. შენი არაფერი დათმო
4. ყური უგდე წინაპრების რჩევას
5. მოძალადემ სუსტი არ უნდა დაჩაგროს
6. გარეგნული იერი ზოგჯერ სხვაა/ადამიანი გარეგნობით არ იცნობა
7. ზოგჯერ მცდელობა უშედეგოა (მგელს) ვერაფერს გააგებინებ - აჯობებს, გაერიდო
8. მტრის ამოცნობა ადვილი არაა, ზოგჯერ სხვასაც უნდა უსმინი/დაუჯერო
9. ჭკუა სწავლებადია ყოველთვის / ჭკვიანსაც სჭირდება დარიგება/რჩევა
10. ღორად არ უნდა იქცე (მსუნაგობა და გაუმადლობა სირცხვილია)
11. მშიშრები არ უნდა ვიყოთ და არ უნდა დავიმალოთ
12. სხვას თავი არ უნდა მოაბეზრო / სხვასაც უნდა გაუწიო ანგარიში
13. სხვისი დაფასება უნდა შეგეძლოს
14. სილამაზის წინაშე ყველაფერი უძლურია
15. სახელი არ უნდა გაიტეხო
16. სხვას თავი არ უნდა გადაამეტო
17. მეგობრობა და ერთგულება უნდა შეგეძლოს / გამორჩენის გამო მეგობრობა სირცხვილია
17. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს / შრომისმოყვარეობაა მთავარი და არა ჭრიჭინი
18. სხვისი სახელით არ უნდა ისარგებლო /მიტმასნილობა უზნეობაა

ჩვენი აზრით, ოტია იოსელიანის მიერ ასეთი, განსხვავებული სტრუქტურით აგებული, იგავური სიბრძნის შემცველი ზღაპრები შესანიშნავი შესაძლებლობაა მწერლისეული ინდივიდუალური ხელწერის შესაქმნელად და მიზნის მისაღწევად.

ლიტერატურა:

ნ. გელდიაშვილი 2023 - ნ. გელდიაშვილი, ეროვნული სურათის წარმომჩენი ეთიკურ-ზნეობრივი პარამეტრები ქართულში: „ენა და კულტურა“ VIII; სამეცნიერო შრომების კრებული; ISSN 1987-7323; E-ISSN 2720-7900; გამომცემლობა: „მერიდიანი“, გვ.87-93; <https://doi.org/10.52340/Iac>. თბილისი, 2023.

ნ. გელდიაშვილი 2021 - ნ. გელდიაშვილი, ქართული მცირე პროზის სათაურების სტრუქტურულ-სემანტიკური გააზრებისათვის: კულტურათაშორისი დიალოგები, VI, შრომები, ISSN: 2233-3401; E-ISSN: 2667-99X; გამომცემლობა „მერიდიანი“; გვ. 125-130; <https://doi.org/10.52340/idw.2021.505> თბილისი, 2021 წ.

გ. გოგოლაშვილი 2022 - გ. გოგოლაშვილი, ენა და მწერალი, #8. თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 2022.

თ. ზვიადაძე 2023 - თ. ზვიადაძე, მწერლის ენობრივ-შემოქმედებითი სამყარო. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2023.

საანალიზო წყარო:

ოტია იოსელიანი 2023 - ოტია იოსელიანი, ხელისგულისტოლა ზღაპრები. ელიფის გამომცემლობა, თბილისი, 2023.

The Structure of Otia Ioseliani's Palm-sized Fairy Tales and the Linguocultural Dimensions of Aphoristic Teachings

Geldiashvili Nunu

Iakob Gogebashvili Telavi State University

<https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.19>

Abstract

Fairy tales create a completely separate area of study within Otia Ioseliani's diverse creative work, the structure and semantics of which reveal many interesting aspects.

In the paper, we will examine the writer's unique style of palm-sized fairy tales in terms of structure, speech type, and linguocultural characteristics.

From the very beginning, the titles of the fairy tales and the diversity of their characters capture attention, which, in turn, ensures thematic and plot variety (e.g., The Tortoise; The Crow and the Nightingale; The Righteous Pig; The Lion, the Deer, and the Frog; The Two Bears; The Kind and Gentle Kite; The Wolf's Wolfishness; The Crocodile's Lament; The Selfish Turkey...).

The next noteworthy parameter is the approach to the beginning of the fairy tale text, which differs entirely from the traditional fairy tale openings that typically rely on ready-made formulas. These formulas usually serve as a way for the storyteller to inform the audience that they are about to recount an invented tale—one that both happened and did not happen at the same time. Instead of using such oppositional pairs, the writer, in most cases, begins the text directly with the development of the action. Sometimes, they simply introduce the story with the word “ოგობს” [*ikos*] (let there be) or an indefinite pronoun like „ერთი“ [*erti*] (one). In our view, this approach suggests that the writer is not merely beginning to recount an invented tale but rather narrating something that has been, is, and will likely continue to be. The opening phrase of the fairy tale almost always refers to a specific (animate or inanimate) noun and only rarely to an abstract concept. The most frequent pattern involves naming a place, time, or character at the very beginning.

The fairy tale text is narrative in type, enriched with dialogues, where the sequence of actions and plot development take center stage. Events follow one another, often determining and influencing each other. The author-narrator remains unseen within the text; however, it is evident that everything is perceived through their perspective—they know what will happen and how the story will unfold.

From a linguistic perspective, verbs play a crucial role in the text. They are predominantly in the third-person past tense and perfect aspect, marking successive actions and ensuring the progression of the narrative. Meanwhile, verb forms in other tenses and persons add expressive power to the text, allowing the reader or listener to envision themselves as a witness to the events.

Otia Ioseliani's palm-sized fairy tales are short and concise, yet remarkably impactful and rich in meaning. They are impressive in the sense that they are artistically vivid, portraying